საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/122
16/01/2023

122-21-2-202301161313

შპს „ეისიი მეტალსს“
მის: ქ. თბილისი, გარდაბნის გზატკეცილი N42
ელ.ფოსტა: irhan@aceforwarding.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2022 წლის 5 დეკემბრის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი განცხადება (N7048), რომელიც ეხება ქ. თბილისში ლითონის ცხლად დამუშავების (სორტული ნაგლინის) საწარმოს ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში, 2022 წლის 28 დეკემბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი 16-01223622571 წერილის შესაბამისად, №01.19.32.001.116 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილების მიხედვით, სამრეწველო ზონა 1-ში (ს-1) განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები. ასევე, თბილისის გამწვანების თემატური რუკით მიწის ნაკვეთის ნაწილზე განსაზღვრულია შიდა კვარტალური (ურბანული) გამწვანება.

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილში ასევე აღნიშნულია, რომ 2022 წლის 28 ივნისის N01221791083-67 განაცხადის საფუძველზე, რითიც შპს „ეისიი მეტალსის“ მიერ მოთხოვნილი იყო მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.19.32.001.116 ფუნქციური ზონის ცვლილება, კერძოდ სამრეწველო ზონა 1 (ს-1)-ის სამრეწველო ზონა 2(ს-2)-ით ცვლილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით მიღებულ იქნა უარყოფითი გადაწყვეტილება, რასთან

დაკავშირებითაც წერილს ერთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 20 ივლისის №22.1118.1222 განკარგულება, სადაც მითითებულია, რომ ის ფუნქციური ზონა, რომელშიც მიმდინარეობს ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები, აუცილებელია გამოყოფილი იყოს სანიტარული ზონით (სანზ'). განკარგულების თანახმად, განსახილველი მიწის ნაკვეთი უშუალოდ ემიჯნება საცხოვრებელ ზონას, რომელიც განვითარებულია მასზე მოქმედი ფუნქციური ზონის შესაბამისად და №01.19.32.001.116 საკადასტრო კოდით რეგისტირებულ ნაკვეთზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება არ არის მისაღები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას წარმოდგენილ პროექტზე გასცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

დანართის სახით გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 16-01223622571 წერილსა და შესაბამის დანართებს.

დანართი: ტექსტის თანახმად.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო